პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 დეკემბერი, ხამშაბათი, 1989 წ.
№ 232 (10 151) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




# ეს იყო დაუვიწყარი საფეხბურთო ზეიმი

## მთავარი პრიზი — თბილისის „დინამოს“

# „მიხეილ მესხი-89“





**ხ უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ტურნირის მთავარი პრიზი თბილისის „დინამოს“ კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს თვით მიხეილ მესხმა გადასცა; თბილისის „დინამოს“ ვეტერანები დაჯილდოების შემდეგ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

**თუ** ამ სამდღიანი ტურნირის ყველაზე საინტერესო, ყველაზე ამაღელვებელ მომენტს გავიხსენებთ, ალბათ ეს მიხეილ მესხის ტრიუმფალური სვლა იყო სპორტის სასახლის სულ ზემო რიგიდან სარბიელამდე. ბევრს ცრემლი მოადგა, აპლოდისმენტებმა ხომ კინალამ გუმბათი ახადეს შენობას.

და კიდევ ერთი: ბევრმა მოზღვავებული გრძნობებისაგან ალბათ თავი ვერ შეიკავა, როდესაც ჩვენს სახელოვან თერთმეტ ნომერს მადლიერი გულშემატკივრების სახელით გადასცეს საჩუქრად ავტომანქანა „ვოლგა“ („მესხისეული“ ნომრით „ქგგ-00-11“).

...დავუბრუნდეთ ტურნირს: „დინამო“ თბილისი — სსრ კავშირის ნაკრები. ორივე გუნდს ორ-ორი გამარჯვება ჰქონდა თავიანთ ჯგუფში და ახლა მათი პირადი შეხვედრის შედეგზე იყო დამოკიდებული გათამაშების მთავარი პრიზის მეორე მაძიებლის გამოვლენა (ფინალში პირველი მოსკოვის „დინამო“ გავიდა — 5 ქულა, ბურთების სხვაობა 11-6). თბილისელმა დინამოელებმა 7:0 წაიყვანეს ანგარიში (ტაიმი მოიგეს 5:0) და მხოლოდ მატჩის მიწურულში შეძლო ნაკრებმა ორი გოლი გაეტანა, თუმცა შემდეგ კიდევ მიიღო ორი ბურთი — 9:2. თბილისის „დინამომ“ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა (ბურთები 31-4) და გადამწყვეტი ასპარეზობის მეორე მონაწილე გახდა.

ყველაზე ხანგრძლივი და, ცხადია, საინტერესო ტურნირის ბოლო დღე იყო — შვიდი შეხვედრა გაიმართა კვირა დღეს, მათ შორის ოთხი მატჩი პრიზის გათამაშების პროგრამაში შედიოდა. ჯერ გდრ-ის და თურქეთის ნაკრებთა შეხვედრა გაიმართა — ეს იყო მატჩი (მას გურამ სეფიაშვილი სჯიდა) VII ადგილისათვის. გერმანელებმა პირველ ტაიმში სამი მშრალი

იხ. მე.2 -3 გვ.

XI

### თვის მონაგარი

# ღარიბი კალენდრის მიუხედავად...

**ნოემბერში** ისეთი დიდი შეჯიბრებები, რომლებშიაც საქართველოს სპორტსმენები გამოდიოდნენ, წინა თვეებთან შედარებით, საკმაოდ შემცირდა. ამდენად, ბუნებრივია, „თვის მონაგარიც“ შედარებით მწირია. თუმცა, საქართველოს ათლეტებმა რამდენიმე მნიშვნელოვან ასპარეზობაში მაინც მოსინჯეს ძალა და წარმატებებსაც მიაღწიეს.

წლევანდელი სხვადასხვა თვის მონაგარში საკმაოდ ხშირად ვხმარობდით სიტყვას „პირველად“. სასიამოვნოა, რომ ამ სიტყვას ვერც ახლა ავუვლით გვერდს.

ახლანდელი მონაგარი გვინდა დავიწყოთ სწორედ ისეთი შეჯიბრებით, რომელიც პირველად ჩაიმართა. მართალია, ეს ასპარეზობა ვერ გამოდგა ისეთი წარმომადგენლობითი, როგორსაც ველოდით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგა, პირველი ნაბიჯი კი, ბუნებრივია, ჩვეულებრივ გაუბედავია.

და მაინც, ამ პირველ ნაბიჯს საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**ალბათ** მიხვდით, ხაუბარია თბილისში გამართულ პირველ საერთაშორისო ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში. სამწუხაროდ, თბილისში, მიუხედავად დაპირებისა, არ ჩამოვიდნენ იაპონელი და თურქი ფალავნები. დიდი უპირატესობით ჩამოაღწიეს ისრაელის მოჭიდავეებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს კასპელმა ჯემალ გუდიევმა, ქარელელებმა ჯემალ მჭედლიშვილმა და მალხაზ ბერუაშვილმა, საგარეჯოელმა კობა კუპატაძემ. ბერუაშვილმა იმარჯვა ფალავნობაზე გამართულ შერკინებაშიც. ... ლიან, ისინი ქართული ჭიდაობის პირველი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულნი არიან და, იმედია, მომავალში ეს ასპარეზობა ისეთივე ავტორიტეტული გახდება, როგორც ძიუდოისტთა შეჯიბრებები.

ჯემალ მჭედლიშვილი თბილისის საერთაშორისო ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე ბრწყინვალედ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ვესტ-ორანჟში გამართულ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში, საიდანაც ოქროს მედლით დაგვიბრუნდა.

ამრიგად, მჭედლიშვილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია.

ამავე ჩემპიონატში ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ ჭაბუკები და იუნიორები. სასიამოვნოა, რომ ჭაბუკთა შორის ერთი პირველი ადგილი აქაც ჩვენმა მოჭიდავემ კასპელმა ხვანე გამხიტაშვილმა მოიპოვა.

იუნიორებში მეორე იყო ფოთელი მურთაზ თურქია.

**საქართველოს** ძიუდოისტებმა წარმატებათა სერია გააგრძელეს ათენშიც, სადაც ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობა ჩატარდა. აქ უძლიერესის სახელი მო-

იხ. მე.2 გვ.

# ჩემპიონატი განახლდა

**ხანგრძლივი** შესვენების შემდეგ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრები.

**ვილნიუსი.** გათამაშების ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, ადგილობრივმა „სტატიბამ“ მოსკოვის „დინამოს“ უმასპინძლა და ორივე შეხვედრა წააგო. პირველი მატჩის ანგარიშია 75:116 (36:65), მეორისა — 62:96 (25:55).

**მოსკოვი.** ჩემპიონატის ლიდერი ცსკა ლენინგრადის „სპარტაკს“ შეხვდა. არმიელთა უპირატესობა ორივე შემთხვევაში აშკარა იყო — 107:81 (43:43) და 98:85 (44:40).

**კაუნასი.** „ჟალგირისმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია დონეცკის „შახტიორს“ — 100:91 (54:44).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 დეკემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 15 | 14 | 1 | 29 |
| „კალევი“ (ტალ.) | 16 | 10 | 6 | 26 |
| „დინამო“ (მოსკ.) | 14 | 10 | 4 | 24 |
| ასკ (ალმა-ათა) | 14 | 9 | 5 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 14 | 9 | 5 | 23 |
| „ჟალგირისი“ (კაუნ.) | 15 | 7 | 8 | 22 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 16 | 6 | 10 | 22 |
| „ბუდიველნიკი“ (კ.) | 14 | 7 | 7 | 21 |
| რტი (მინსკი) | 14 | 7 | 7 | 21 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 15 | 4 | 11 | 19 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 16 | 2 | 14 | 18 |
| „დინამო“ (თბილისი) | 13 | 3 | 10 | 16 |

# წარმატება მსოფლიო ჩემპიონატზე

**სამი** ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში გამართულ იუნიორ აკრობატთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში. ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში, სხვებთან ერთად, თბილისელი აკრობატებიც გამოდიოდნენ. მხტომელებში ვერცხლის მედალი დაიმსახურა ჯუმბერ ლაშხის აღზრდილმა ელგუჯა ხეთაგურმა, ხოლო ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ალექსანდრე მავრანგელოვის შეგირდებმა რამაზ ბუზიაშვილმა, ვილი ვართანოვმა, იოსებ ცუცქირიძემ და სტანისლავ პეტროვმა.

# გოჩა მაკოევი და გიორგი ივანიშვილი

**დელი.** ამ ტურნირში, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუს დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობა მიიღო თავისუფალი სტილის ბევრმა ცნობილმა მოჭიდავემ. საბჭოთა კავშირის ღირსებას იუნიორი ათლეტები იცავდნენ. ამის მიუხედავად ხუთმა მათგანმა პირველი ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულთა შორის ორი მოჭიდავე ჩვენი რესპუბლიკიდანაა — გოჩა მაკოევი და გიორგი ივანიშვილი. მაკოევი უძლიერესი იყო 62 კგ წონაში, ივანიშვილი კი 74 კგ წონით კატეგორიაში.

ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პირველ საერთაშორისო ტურნირში (მასში 13 ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ) გაიმარჯვეს, აგრეთვე, ხასავიურტელმა ბაგუდინ უმახანოვმა (52 კგ), მოსკოველმა ვიტალი პერფილიევმა (90 კგ) და კალინინგრადელმა ანდრეი შუმილინმა (130 კგ).

### ინფორმაცია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს თასი, რომელიც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს, ბუენოს-აირესიდან იტალიის დედაქალაქში ჩაიტანეს.

# კიევის „ყინული“ ელის

**ერევანში** გამართულ ფიგურულ მოციგურავეთა საკავშირო პირველობაში გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე თბილისის განათლების სამინისტროს საქართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საციგურაო სპორტსკოლის აღსაზრდელებიც მიიწვიეს. ქართველმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს ოსტატობის პროგრამით ერთეულ ვაჟთა გამოსვლებში. პირველობა არავის დაუთმო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ბესო ცინცაძემ. კვარცხლბეკზე იდგა აგრეთვე სპი-ს მესამეკურსელი გიზო ბლიაძე, რომელიც საპატიო მეორე ადგილს დაეუფლა.

ქართველ ფიგურისტებს ახლო მომავალში უფრო დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობა ელით. ეს მოხდება გაისად, 19-25 თებერვალს კიევის სარბიელზე, სადაც გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადის ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ. ... ბიბლიოთეკა

თვის მონაპოვარი

# ღარიბი კალენდრის მიუხედავად...

(დასასრული)

იპოვეს სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ და ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა, ახმეტელმა დავით ბაგაურმა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ამ ასპარეზობაში გამოდიოდა კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე გივი გაურგაშვილი. მართალია, მის ოქროს მედალს საქართველო ვერ მიითვლის, რადგან გივი ჩელიაბინსკელთა სახელს იცავს, მაგრამ გაურგაშვილის პირველობა ჩვენთვის მაინც სასიამოვნოა.

ტაშკენტში გამართულ ძიუდოისტთა საკავშირო თასის გათამაშების დასკვნით ბრძოლებში თბილისელი ვალერი პარუნაშვილის გამარჯვებამ წარმატება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გუნდს მოუტანა.

ჩვენმა ძიუდოისტებმა თავი გამოიჩინეს დუშანბეში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაშიც, სადაც ექვსი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე შემადგენლობით გამოდიოდნენ გუნდურ პირველობაში, II ადგილი დაიკავეს. [illegible]

ამას გარდა, მესხმა მეორე ადგილი დაიკავა წყვილთა ასპარეზობაში.

ბათუმელი ბადმინტონისტი რეგინა არამიანცი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრებთან ერთად გამოდიოდა დანიაში გამართულ მუშათა საერთაშორისო სპორტული კავშირის თასის გათამაშებაში. ასპარეზობაში საბჭოთა და დანიელ სპორტსმენებთან ძალას ცდიდნენ ავსტრიის, ბელგიის, ფინეთისა და ისრაელის გუნდებიც. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა, რომლის წარმატებაშიც დიდი წვლილი შეიტანა არამიანცმა. რეგინა უძლიერესი იყო წყვილთა შეჯიბრებაში.

უკვე მრავალი წელია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები საკავშირო ჩემპიონატებში თუ თასის გათამაშებაში გვაწბილებენ. მათი ულიმღამო გამოსვლის ერთგვარი კომპენსაცია გამოდგა ლანჩხუთის „გურიისა" და სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელთა წარმატებები. ერთმაც და მეორემაც თავიანთ წლევანდელ კარგ გამოსვლებს წერტილი ნოემბერში დაუსვეს. ლანჩხუთის [illegible]

ინფორმაცია

მოსკოვი. [illegible] ერიკელმა გიი ლორენმა. 90 კგ-ში პირველი ადგილი წილად ხვდა დასავლეთგერმანელ მსოფლიო ჩემპიონს ფრანკ ჰილებრანდტს.

სარაევო. ოთხადგილიან ბობსლეისტთა მსოფლიო თასის მესამე ეტაპი მოიგო გდრ-ის კვარტეტმა — 3.19.40. მეორე ადგილზე გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები 3.19.48.

# ეს იყო დაუვიწყარი საფეხბურთო ზეიმი



მიხეილ მესხმა თავისი „ხაფირმო ფინტი" წამოიწყო...

(დასასრული)

ბურთი გაიტანეს, მეორეში — ერთი და 4:0 გაიმარჯვეს.

ზაარბრიუკენისა და დასავლეთი ბერლინის გუნდების შეხვედრა (მსაჯი ანატოლი მილჩენკო) V ადგილისათვის მოიგეს თბილისთან დაძმობილებული ქალაქის ფეხბურთელებმა — 4:2.

სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს „არარატის" გამარჯვება (მსაჯი მევლუდ მიმინოშვილი) სსრ კავშირის ნაკრებთან დამაჯერებელი ანგარიშით 9:1. ერევნელთა გუნდი III ადგილზე გავიდა.

გადამწყვეტი შეხვედრა თბილისისა და მოსკოვის თანაკლუბელებს შორის გაიმართა (მსაჯი ავთანდილ კოკაია). მეტოქეთა სასტარტო ექვსეული: მასპინძლები — დავით გოგია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, მანუჩარ მაჩაიძე და რამაზ შენგელია; სტუმრები — ალექსანდრ რაკიტსკი, სერგეი ნიკულინი, ვლადიმერ დოლბონოსოვი, სერგეი სტუკაშოვი, ალექსანდრ მაქსიმენკოვი და ანდრეი იაკუბიკი. ცხადია, „ზადამზა" მწვრთნელებს გივი ნოდიას, ვიქტორ ცარიოვსა და ვლადიმერ კესარევს, ისევე რო- [illegible]

[illegible] ...რაოდენობით.

[illegible] დაჯილდოების შემდეგ გაიმართა შეჯიბრების გამორჩეულ ფეხბურთელთათვის განკუთვნილი პრიზების გადაცემის ცერემონიალი. საუ-

კეთესო მოთამაშედ ჟიურიმ მანუჩარ მაჩაიძე აღიარა, საუკეთესო მეკარედ — მოსკოვის დინამოელი ალექსანდრ რაკიტსკი, მთავარ ბომბარდირად — საკავშირო ნაკრების წევრი გიორგი იარცევი (მან 9 ბურთი გაიტანა, პლიუს ერთი შედეგიანი გადაცემა), საუკეთესო გამთამაშებლად — ალექსანდრე ჩივაძე, ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ — ერევნელი ნაზარ პეტროსიანი, საუკეთესო მსაჯად — საკავშირო კატეგორიის არბიტრი ავთანდილ კოკაია, ყველაზე ლამაზი გოლის გამტანად მიიჩნიეს რევაზ ჩელებაძე, რომელმაც მაყურებელთა სიმპათიის პრიზიც დაიმსახურა, პრიზი მიიღო ქვეყნის ნაკრების კაპიტანმაც, 59 წლის იგორ ნეტომ, როგორც ტურნირის ყველაზე ხანდაზმულმა მონაწილემ.

შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით მისმა ხელმძღვანელმა კახი ასათიანმა საგანგებო ჯილდოები გადასცა ორი საფეხბურთო ზეიმის (იგულისხმება ახას წინათ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გამართული თბილისის „დინამოს" ჩემპიონობის 25-წლისთავის იუბილე და მიხეილ მესხის პრიზის გათამაშება. რედ.) ყველაზე აქტიურ მონაწილის სტუ- [illegible]

სპორტის სასახლემაც — მისმა დირექტორმა თენგიზ ლომიძემ სახელოვან ფეხბურთელს გადასცა მუდმივი საშვი მე-11 სექტორში მე-11 რიგის მე-11 ადგილზე.

**კიდევ ერთი მესხი...**

ამ დღეს სპორტის სასახლეში კიდევ სამი მატჩი გაიმართა, დავიწყოთ ყველაზე პატარებით — თბილისის „ნორჩი დინამოელისა" და „ავაზას" გუნდების მატჩით (მსაჯი თამაზ ლაცაბიძე), რომელშიც ავაზელებს კაპიტნობდა მიხეილ მესხის ვაჟი მამუკა. ანგარიში სწორედ მისმა გუნდმა გახსნა — მეათე ნომერმა ლევან გოგიჩაიშვილმა, საპასუხო გოლი კი აგრეთვე „ათიანმა" გაიტანა — დინამოელმა გიორგი დემეტრაძემ — 1:1. პატარებმა სარბიელი უფროსებს დაუთმეს.

**ეს იყო „ჯანუმეორებელი" თამაში**

როდესაც „მწვრთნელმა — კომენტატორმა" კოტე მახარაძემ თავისი გუნდისა (მსახიობთა ნაკრები) და მეტოქის (გულშემატკივართა ნაკრები) შემადგენლობები გამოაცხადა, ტრიბუნაზე მჯდომთ ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ ნამდვილად საინტერესო ასპარეზობას იხილავდნენ. საქმე ისაა, რომ ორივე გუნდში საკმაოდ ბევრი „ვარსკვლავი" (არა, ფეხბურთის არა!) იყო თავმოყრილი, ერთის მხრივ — სცენის, ესტრადის, კინოს, მეორეს მხრივ კი — მედიცინის, პედაგოგიკის, ჟურნალისტიკის გამოჩენილი ადამიანები. ეს იყო უაღრესად საინტერესო მატჩი — ლაღი იუმორით, გონებამახვილური ფინტებით, თეატრალური ინსცენირებებით აღსავსე. ეს მატჩიც ფრედ 3:3 დამთავრდა.

**25 წლის წინათ „დაწყებული" მატჩის გაგრძელება**

ამ შეხვედრაში, მართლაც მეოთხედი საუკუნის წინ რომ „დაიწყო", 10 „ტაშკენტელი" მონაწილეობდა — 8 ოქროს მედალოსანი დინამოელი და 3 ვერცხლის მედლის მფლობელი ტორპედოელი [illegible]



ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე.

გია ახალაძის ფოტო



რის მედალი მიიღო — ძირითად და სათადარიგო შემადგენლობებში თამაშისათვის). მოსკოველთა მწვრთნელმა ვიქტორ მარიენკომ ათამაშა ტაშკენტის მატჩის სამი მონაწილე — ვიქტორ შუსტიკოვი, ვლადიმერ სარაევი და ვიაჩესლავ მარუშკო, აგრეთვე ედუარდ სტრელცოვი, ბორის ბატანოვი, გენადი გუსაროვი, ვალენტინ დენისოვი, ანატოლი დეგტიარიოვი და სხვა. ცხადია, ვიცოდით, რომ ვეტერანები 25 წლის შემდეგ უკვე ისე ვეღარ ითამაშებდნენ, მაგრამ ამ დღესაც ვხედავდით თითოეულის ნაცნობ ხელწერას. კოტრიკაძემ ძველებურად თავგანწირულ ნახტომში მოიგერია სამი-ოთხი ბურთი გუსაროვისა და ბატანოვის სახიფათო დარტყმების შემდეგ, მეტრეველი ენერგიულად უტევდა ყოფილ თანაკლუბელთა კარს და ყუმბარისებურად ურტყამდა ბურთებს, ბარქაია კვლავ ცბიერად ხლართავდა თამაშს, მესხმაც რამდენიმე თავისებური ცრუ მოძრაობით გაგვცხარა — ზედიზედ მოატყუა თაესი მეურვე მარუშკო და მეტოქის კარში ორ-სამჯერ დაარტყა კიდეც სახიფათოდ. თავის მხრივ, სტრელცოვი, ბატანოვი, გუსაროვი, შუსტიკოვი და მათი პარტნიორები, აგრეთვე ხშირად იხსენებდნენ გარდასულ დღეთა ილეთებს...

ანგარიში დასაწყისშივე მოსკოველთა კაპიტანმა შუსტიკოვმა გახსნა. მე-4 წუთზე კი უკვე თბილისელთა კაპიტანმა მეტრეველმა გამოჩინა თავი — 1:1. შესვენების შემდეგ კვლავ მეტრეველმა გაიტანა ბურთი. ეს იყო მართლაც ულამაზესი გოლი შორი მანძილიდან — 2:1. მაგრამ ტორპედოელებმა მაინც მოახერხეს დამარცხებისაგან თავის დაღწევა — იური სმირნოვის ძლიერი დარტყმა შორიდან ზუსტი გამოდგა — 2:2.

ასეთი ანგარიში აღნიშნა რიგელმა არბიტრმა მიქელის რუბენისმა, 25 წლის წინათ რომ სჯიდა შორეულ ტაშკენტში ამავე გუნდების გადამწყვეტ მატჩს.

ოთარ ნოზაძე.



ასე თამაშობდა თავის დროზეც სლავა მეტრეველი.

## ლაპარაკობენ ტურნირის სტუმრები



**გიორგი იარცევი — მოსკოვის სპორტკომიტეტის მწვრთნელი ფეხბურთში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

— **დიდად** კმაყოფილი ვარ, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირში მივიღე მონაწილეობა ქვეყნის ვეტერანთა ნაკრების შემადგენლობაში. ორმაგად მოხარული ვარ, რომ ბომბარდირიც გავხდი. განსაკუთრებით კარგად ვითამაშე თურქეთის გუნდთან, რომელსაც შვიდი გოლი გავუტანე. მიხეილ მესხი მარტო ქვეყნის კი არა, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია. ეს ტურნირიც ხომ მისი საკადრისი იყო. ორგანიზატორებმა მართლაც ბევრი ენერგია, მონდომება, პროფესიონალიზმი ჩააქსოვეს საქმეში, განსაკუთრებით კახი ასათიანმა. ძალიან მომეწონა სასახლის ხელოვნური საფარი, რომელიც მაღალი ხარისხისაა. ამ ტურნირის ანალოგი ჩვენთან კი არა, რამდენადაც ვიცი, ევროპაშიც არ არის. ცხადია, იგი ტრადიციულად ჩატარდება. მაყურებელი მუდამ მოწონებით, აპლოდისმენტებით ხვდებოდა ნებისმიერი გუნდის ლამაზ გოლს, კარგ პასს, გონებამახვილურ კომბინაციას. თბილისში ჩემს ბევრ ძველ მეგობარს შევხვდი — საშა ჩივაძეს, რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძეს. საქართველოში წელს, ამ მძიმე ჟამს, მესამედ ჩამოვედი — მანამდე მოსკოვის ვეტერანთა ნაკრების შემადგენლობაში თამაშებზე ვიყავი სოხუმსა და ბათუმში. გამახარა ძველი თაობის ფეხბურთელთა შეხვედრამაც. ტაშკენტის „ოქროს მატჩის" რეპორტაჟი მაშინ რადიოთი მოვისმინე. იმხანად 18 წლისა ვიყავი, მშობლიური სმოლენსკის „ისკრა-ში" ვთამაშობდი მეორე ლიგაში, მაშინ დიდ ფეხბურთზე მხოლოდ ვოცნებობდი. ისიც უნდა ითქვას, რომ ოსტატთა გუნდში — მოსკოვის „სპარტაკში" საკმაოდ გვიან, 29 წლის ასაკში მოვედი. ვნანობ, რომ წლებს ვეღარ დავიბრუნებ!



**ედუარდ სტრელცოვი — მოსკოვის „ტორპედოს" ნორჩ ფეხბურთელთა სკოლის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

— **ვიცი,** რომ ქართველ გულშემატკივრებს პირდაპირ ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი, მაგრამ იმან, რაც თბილისის სპორტის სასახლეში ვნახე, მოლოდინს გადააჭარბა. მართლაც როგორ გყვარებიათ მესხი, როგორ შემოინახეთ ასეთი აღტაცება ფეხბურთიდან მისი წასვლის ამდენი ხნის შემდეგ! მართლაც დიდებულად აღნიშნეთ ჩვენი მიშას — ამ შესანიშნავი ფეხბურთელისა და საშური მეგობრის დამსახურება. თქვენ პირველებმა მოიფიქრეთ ასეთი ტურნირის ჩატარება მთელს კავშირში. მის წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია, აი მასთან ერთად ნაკრებში კი — არასოდეს. რას იზამ, ჩემი ბრალია. ხშირად კითხულობენ ხოლმე, ვინ იყო სხვადასხვა დროის ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი ამა თუ იმ ადგილზე. ცოტა არ იყოს, უხერხული კითხვაა, რადგანაც ძნელია და ეუძლებელიც პარალელის გავლება ათეულ წლებს შორის. მაგალითად ძველად, საბჭოთა ფეხბურთში საუკეთესო მარცხენა გარემარბად მოსკოვის დინამოელი სერგეი ილინი ითვლებოდა. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ბურთი მაშინ „ოთხკუთხედი" იყოო. ჩვენს დროს კი ბურთი მრგვალია. ჰოდა, მით უფრო ძნელია მისი მოთვინიერება. სიამოვნებით ვადევნებდი თვალს პატარა მესხის — მამუკას თამაშს, თითქოს გარეგნულად ჰგავს კიდევაც მამას, ვუსურვებდი თამაშითაც დაემსგავსოს, გააგრძელოს მესხების დინასტია დიდ ფეხბურთში და, ცხადია, მშობლიურ „დინამოში" ითამაშოს. თქვენს დინამოელებს კი ვუსურვებ მალე ეპოვოთ საკუთარი თამაში — ტორპედოელები ხომ მუდამ ვგულშემატკივრობდით თქვენს გუნდს. სხვათა შორის, ფეხბურთის ძველ მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ „ტორპედოში" ანზორ კავაზაშვილის გარდა (მესხის ტურნირზე მასაც უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ვენესუელაში გაემგზავრა რუსეთის ფედერაციის ჭაბუკთა გუნდთან ერთად ამხანაგურ მატჩებზე) ადრე წლებში თამაშობდა კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი — ვლადიმერ გაბიჩვაძე. იგი მოგვიანებით მწვრთნელი გახდა — მოსკოვის „სერპ ი მოლოტს" ავარჯიშებდა, ახლა კი მოსკოვის „ედინოვეცის" გუნდს წვრთნის.



**გენადი გუსაროვი —მოსკოვის „დინამოს" საკლუბო გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

— **მიხეილ** მესხის გვერდით ნაკრებში ორი წელიწადი ვითამაშე. მე ხომ მარცხენა შუამარბი ვიყავი. ჩვენს მწვრთნელს გავრილ კაჩალინს ნაკრებში ახლადმოსული მესხისთვის უთქვამს, შენ გუსაროვის გვერდით ითამაშებო, მიშას კი, არც უციებია, არც უცხელებია, კონტრშეკითხვით მიუმართავს — პასს თუ მომცემსო!

კარგად შევეწყვეთ, მუდამ ვგრძნობდით მინდორზე ერთმანეთს და ბურთსაც ხშირად ვაწვდიდით. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მესხმა არგენტინაში ტურნეს დროს — მე ვიტყოდი, პირდაპირ ფურორი მოახდინა, ორივე ბურთი ვიქტორ პონედელნიკმა გაიტანა, მაგრამ მათში ნამდვილად დიდია მიშას დამსახურება. სხვათა შორის, ერთხელ უშუალოდ მესხის მეურვეობაც მომიხდა. ეს 1968 წელს იყო თბილისში. მაშინ მოსკოვის „დინამოში" ვთამაშობდი. ჩვენი მცველები ვლადიმერ შტაპოვი და ვალერი ზიკოვი დაშავებულნი იყვნენ და კონსტანტინ ბესკოვმა (ტურნირზე ისიც მოდიოდა ქვეყნის ნაკრებთან ერთად, მაგრამ მეუღლე გაუხდა შეუძლოდ) მეორე ნომრად მე დამაყენა. მინდორზე გამოსულებს თავდაპირველად ორივეს გვეცინებოდა, მახსოვს სახუმარო რეპლიკებიც „ვესროლეთ" ერთმანეთს, მაგრამ შემდეგ მიშა „მოიმართა" და, რომ იტყვიან, მეორე ტაიმში კარგა გვარიანად „მატრია" კიდეც. მესხი მართლაც ძალიან პოპულარულია — მას ყველა ცნობს, ყველა ესალმება, ყველას უნდა მისთვის ორიოდე სიტყვის თქმა მაინც. მაგრამ მესხი რა: თქვენს გულშემატკივრებს თურმე ჩვენც კარგად ვახსოვართ, ტორპედოელი ვეტერანები, განსაკუთრებით კი ედიკ სტრელცოვი, რომელსაც გაუთავებლად ულობავდნენ გზას ავტოგრაფების მოყვარულები.



ორი მეკარე — ალექსანდრ რაკიტსკი და სერგო კოტრიკაძე.



მიკროფონთანაა კოტე მახარაძე.



რევაზ ჩელებაძის „ნადავლი".



„დონ-კიხოტის" (კახი კავსაძის) ავტოგრაფი.



თამაშობენ თეატრისა და გულშემატკივართა ნაკრები გუნდები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# დედაქალაქის პირველობაზე

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დაიწყო დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა 61-ე ჩემპიონატი. შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება, 18 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის ორი ოსტატია — ალექსანდრე ბოკუჩავა და ქეთევან მელაშვილი.

წილისყრის მიხედვით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: 1. შოთა კუპუხიძე, 2. შალვა ხაბურზანია, 3. ვასილ ვაშაკიძე, 4. გია გოგოლაძე, 5. გივი გოგიჩაიშვილი, 6. იანის პოპოვი, 7. დემურ სირბილაძე, 8. დავით პაქსაშვილი, 9. ნოდარ გოგაძე, 10. ალექსანდრე დგებუაძე, 11. გიორგი ყაჭეიშვილი, 12. კახა პეტრიაშვილი, 13. კახა შალამბერიძე, 14. დავით ლობჟანიძე, 15. ალექსანდრე ბოკუჩავა, 16. ალექსი ლაზარაშვილი, 17. ქეთევან მელაშვილი, 18. რევაზ კაკაბაძე.

გთავაზობთ I-II ტურების ტექნიკურ შედეგებს: **I ტური:** ხაბურზანია-მელაშვილი — 1:0, გოგაძე-დგებუაძე — 0:1, ვაშაკიძე-ლაზარაშვილი — 0,5:0,5, გოგიჩაიშვილი-ლობჟანიძე — 0,5:0,5, პაქსაშვილი-ყაჭეიშვილი — 0,5:0,5. გადაიდო კუპუხიძე-კაკაბაძის, გოგოლაძე-ბოკუჩავას, პოპოვ-შალამბერიძისა და სირბილაძე-პეტრიაშვილის პარტიები. **II ტური:** ლაზარაშვილი-გოგოლაძე — 1:0, ლობჟანიძე-პოპოვი — 1:0, შალამბერიძე-სირბილაძე — 1:0, მელაშვილი-ვაშაკიძე — 1:0, კაკაბაძე-დგებუაძე — 0,5:0,5.

გადაიდო ბოკუჩავა-გოგიჩაიშვილის, ყაჭეიშვილ-გოგაძისა და კუპუხიძე-ხაბურზანიას პარტიები, ხოლო პეტრიაშვილი-პაქსაშვილის შეხვედრაში პაქსაშვილი არ გამოცხადდა და მას წაგება ჩაეთვალა.

2 ტურის შემდეგ 1,5:1,5 ქულით დაწინაურდნენ ალექსი ლაზარაშვილი, დავით ლობჟანიძე და ალექსანდრე დგებუაძე.

**რაჩია კარტაშიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მდივანი-მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

**ჰააგა.** მოციგურავეთა მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე 5 კილომეტრიანი დისტანცია ნორვეგიელმა სტაიერმა გეირ კარლსტადმა მოიგო — 7.02,46. 1500 მეტრზე პირველი ადგილი გდრ-ის წარმომადგენელმა პეტერ ედბერგმა დაისაკუთრა — 1.56,57.

**ტოკიო.** პოპულარულ მარათონულ რბენაში „ფუკუოკაში" საბჭოთა სტაიერმა რავილ კაშაპოვმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, გამარჯვება კი წილად ხვდა პორტუგალიელ მანუელ მატიაშს. ორთავე სპორტსმენმა ერთნაირი დრო (2:12.54,0) აჩვენა, მაგრამ მსაჯებმა ფოტოფინიშის შემდეგ უპირატესობა პორტუგალიელს მიანიჭეს.

**ბუდაპეშტი.** მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი „ტოკაი ექსპრესი" ხარკოველმა მიხეილ ტიშკომ მოიგო. დაშნით მოფარიკავეთა ფინალში მან უნგრელი ივან კოვაჩი დაამარცხა.

**მოსკოვი.** სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის" საცურაო აუზში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო თასის ფინალური მატჩი ცსკა-ვმფ-სა და მოსკოვის „დინამოს" შორის. გამარჯვება და საპატიო ჯილდო მეზღვაურმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 10:7 (5:2, 2:3, 1:1, 2:1). მესამე ადგილზე გავიდნენ ლვოვის დინამოელები, რომლებმაც დაამარცხეს ალმა-ათის ასკ 10:9 (2:3, 2:3, 3:1, 3:2).

# ფედერაცია და ლიგების კავშირი დაობენ

**სულ** ახლახან პრესაში, კერძოდ, „პრავდაში" გამოქვეყნდა ფეხბურთში 1990 წლის საკავშირო გათამაშებათა სტრუქტურა. ეს ცნობები გაზეთებმა მიიღეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციიდან, რომელიც განაგებს საფეხბურთო ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში. კერძოდ, ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა შექმნას ე. წ. მეორე ლიგის საუკეთესო გუნდების ბუფერული ზონები, საიდანაც უძლიერესნი წარმატების შემთხვევაში გადავლენ პირველ ლიგაში.

მაგრამ 2 დეკემბერს შედგა ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ლიგების ადმინისტრაციული საბჭოს სხდომა, რომელმაც თავისი, ფეხბურთის ფედერაციისაგან სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო...

ვინც ახლოს დგას ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებასთან, კარგად იცის, რომ ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო ლიგების კავშირი თავიდანვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი პრინციპული შეუთანხმებლობანი, ბოლოს და ბოლოს, გაუგებრობას იწვევს და ჩვენც, საფეხბურთო საზოგადოებრიობამ, გარკვევით არ ვიცით როგორი იქნება 1990 წლის საფეხბურთო სეზონი, რა პრინციპით ჩატარდება გათამაშებები, როგორი იქნება მათი სტრუქტურა.

ფეხბურთის ფედერაციისგან განსხვავებით, საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციულმა საბჭომ გადაწყვიტა 1990 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში მონაწილეობა მიიღოს 18 კლუბმა. I ლიგა შედგებოდეს 38 გუნდისგან, რომლებიც დაყოფილი იქნებიან ორ ქვეჯგუფად, 19-19 გუნდი თითოეულში, ხოლო II ლიგის გუნდები განაწილდნენ 8 საკავშირო ზონად.

სრულიად განსხვავებულია გუნდების ცირკულაციის საქმეც ლიგებს შორის. საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილებით უმაღლეს ლიგას დატოვებენ და პირველში გადავლენ ბოლო 4 ადგილზე გასული გუნდები, რომელთა ადგილს დაიკავებს I ლიგის ქვეჯგუფების 2-2 საუკეთესო გუნდი. პირველი ლიგის 8 გუნდი, რომლებიც ბოლო ადგილებს დაიკავებენ ლიგის გათამაშებაში (4-4 თითოეული ქვეჯგუფიდან), გადაინაცვლებს მეორე ლიგაში და მათს ადგილებს დაიკავებენ II ლიგის 8 ზონაში გამარჯვებულები.

გარდა ამისა, ლიგების კავშირს აქვს ასეთი სიახლეც: გამარჯვებისთვის გუნდს დაეწეროს 3 ქულა, ფრედ დამთავრებული მატჩებისთვის — 1 ქულა, დამარცხებისთვის — 0 ქულა.

საკვირველია, რომ ერთი და იგივე უაღრესად პრინციპულ საკითხზე ორ მმართველ საფეხბურთო ორგანოს ასეთი საპირისპირო გადაწყვეტილებები გამოაქვს. რა თქმა უნდა, საკითხი საბოლოოდ გაირკვევა და ერთიან პრინციპსაც გამოიმუშავებენ, მაგრამ ჯერჯერობით ფაქტია, რომ არა თუ გულშემატკივრებმა, თვით ჩვენმა პროფესიულმა გუნდებმაც კი არ იციან, თუ როგორ ჩატარდება 1990 წლის საკავშირო საფეხბურთო სეზონი.

# ჭიდაობა, სპორტკომიტეტის გარდა...

**მსოფლიო** ჩემპიონის თემურ ყაზარაშვილის სახელი ჭიდაობის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი, იგი არცთუ დიდი ხნის წინ თვითონ გამოდიოდა ხალიჩაზე.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ სპორტულ კომპლექსში მეტად საინტერესოდ ჩატარდა ტურნირი თემურ ყაზარაშვილის სახელობის პრიზზე, მით უმეტეს, რომ შეჯიბრებაზე მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის და ბულგარეთის (ქალაქ ეტრიაპოლიდან) მოჭიდავეებიც კი.

ტურნირი, როგორც უკვე ვთქვით, სათანადო დონეზე ჩატარდა, მაყურებელიც მრავლად იყო, ხოლო მონაწილეთა რიცხვი 300-ს აღწევდა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ედიშერ მაჩაიძე.

შეხვედრის ორგანიზატორებს კარგი დახმარება გაუწიეს პარტიის ქალაქკომმა, ალმასკომმა და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურმა საბჭომ.

ყველაზე დაძაბული შერკინება, რა თქმა უნდა, ტურნირის მთავარი პრიზისთვის ბრძოლა იყო, რომელიც 50 კგ წონით კატეგორიაში გაიმართა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოზურგეთელი დავით სირაძე და ბათუმელი ადამ დიასამიძე. დაძაბული ორთაბრძოლა დავით სირაძის გამარჯვებით დამთავრდა. აღსანიშნავია, აგრეთვე, გარდაბნელი მოჭიდავის გიორგი ფრეწუაშვილის გამოსვლა (43 კგ.).

ტურნირის დამთავრების შემდეგ თემურ ყაზარაშვილს ვთხოვეთ, თავისი შთაბეჭდილება გაეზიარებინა.

— შეჯიბრებაში ჭაბუკები მონაწილეობდნენ, — გვითხრა მან, — ბულგარეთის გუნდი დაკომპლექტებული იყო 18 წლამდე ასაკის მოჭიდავეებით, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის გუნდები — თექვსმეტთხუთმეტ წლიანებით. მიუხედავად ამისა, სასიამოვნოა რომ გამარჯვებათა უმრავლესობა ჩვენმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს. ჩვენში კლასიკური ჭიდაობა ერთხანს ჩამორჩა და სასიხარულოა, რომ ახლა გარკვეული პროგრესი იგრძნობა და რეზერვიც კარგი გვყავს. ეს ახალგაზრდები შეიძლება მომავალი ჩემპიონებიც იყვნენ...



სამწუხაროა, როდესაც ასპარეზობა სპორტის მესვეურთა ყურადღების მიღმა რჩება... აი, რა გვითხრა კიდევ თემურ ყაზარაშვილმა:

— რუსთავის სპორტკომიტეტს შეჯიბრების ორგანიზაციაში მონაწილეობა არ მიუღია, მისი თავმჯდომარე კარლო ნაჭყებია ტურნირის გახსნასა თუ დახურვასაც არ დასწრებია, რომ აღარაფერი ვთქვათ შეჯიბრების მსვლელობაზე. ეს ტურნირი ტარდება რუსთავში სპორტის პოპულარიზაციისათვის, თორემ ჩასატარებელ ადგილს ყოველთვის ვიპოვით და შეჯიბრებას მაყურებელიც ყველგან ეყოლება. მართალია, ტურნირი „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაატარა, მაგრამ რუსთავის სპორტკომიტეტსაც უნდა გამოეჩინა ყურადღება...

გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას:

**32 კგ** დავით ტოროსიანი (ეჩმიაძინი), **35.** არტურ მანუკიანი (ეჩმიაძინი), **39.** მერაბ ნოზაძე (რუსთავი), **43.** გიორგი ფრეწუაშვილი (გარდაბანი); **46.** გელა ბეჟანიშვილი (გარდაბანი), **50.** დავით სირაძე (ოზურგეთი), **54.** ვასილ ჩოჩიშვილი (ოლიმპ. რეზ.), **58.** გელა ჯერანაშვილი (გარდაბანი), **63.** შალვა იშხანიშვილი (თბილისი), **68.** გიორგი ხმიადაშვილი (თბილისი), **74.** მუხრან ვახტანგაძე (ბათუმი), **81.** გიორგი იმნაძე (ლანჩხუთი); **88.** ლევან ტაბაძე (რუსთავი); **97.** ფირან კაპანაძე (თბილისი); **130.** ნიკოლაი ტოდოროვი (ბულგარეთი).

**სურათზე:** თ. ყაზარაშვილი ტურნირის მთავარ პრიზს გადასცემს ოზურგეთელ დავით სირაძეს.

რაჟდენ გაბრიჭიძის ფოტო.

# ლიდერის გარეშე

**ბადმინტონის** საერთაშორისო ტურნირებით განებივრებულნი არა ვართ. მიუხედავად ამისა, საქართველოს სპორტსაზკომის თბილისში ჩატარებულ პრიზზე ამ რანგის ტურნირში უცხოელებიდან მხოლოდ ბულგარელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ჩვენში სპორტის ამ სახეობის პოპულარობისათვის. ბულგარელების გარდა თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის, სვერდლოვსკის, დნეპროპეტროვსკის, კიშინიოვის, სულ 12 ქალაქის წარმომადგენლები, მასპინძლები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლიდერის, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის დავით კავილაძის გარეშე (დავითი ამ დროს გფრ-ის ტურნირში გამოდოდა). მუხედავად ამისა, შეჯიბრება საინტერესო გამოდგა. მას ტონს აძლევდნენ ბულგარელი ბადმინტონისტები, რომლებმაც ხუთი პირველი ადგილიდან სამი მოიპოვეს.

თბილისელთაგან თავი გამოიჩინა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ტატიანა ბობილევამ. მან შერეულ წყვილთა თანრიგში მოსკოველ ალექსანდრე ნაზაროვთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა. ერთეულთა თანრიგში III-IV იყო მისი თანაგუნდელი ელენა ვარლამოვა. ორივე ბადმინტონისტს იური კიტაევიჩი ავარჯიშებს.

**ლევან ჯაბაძე.**

# ედბერგი ბრწყინვალედ ამთავრებს სეზონს

**ნიუ-იორკი.** „მედისონ სკვერ გარდენის“ საჩოგბურთო კორტებზე დამთავრდა მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ბოლო საერთაშორისო შეჯიბრება — „მასტერსი“, რომელშიც მსოფლიოს რვა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა.

გამარჯვება ამ პრესტიჟულ ტურნირში შვედმა სტეფან ედბერგმა მოიპოვა. ფინალური მატჩის შემდეგ მან განაცხადა: „ეს იყო ჩემი საუკეთესო ტურნირი, ვინაიდან ორ დღეში დავამარცხე ჩოგბურთის აღიარებული ვარსკვლავები ივან ლენდლი და ბორის ბეკერი. ეს წარმატება მომავალი სეზონისთვის გარკვეული სტიმული იქნება. რაღა დაგიმალოთ და 1989 წელს ბევრი მნიშვნელოვანი ფინალი წავაგე“. ედბერგმა მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარა შეჯიბრება, მაგრამ სპეციალისტები „მასტერსის“ ტურნირში მის გამარჯვებას მაინც სენსაციად მიიჩნევენ.

შვედმა ჩოგბურთელმა თავდაპირველად ბრედ ჯილბერტი და ანდრე აგასი (ორივე — აშშ) დაამარცხა. მერე ნახევარფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია) აჯობა. ფინალური ორთაბრძოლა, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, მეტად მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა., ედბერგმა იგი ოთხ პარტიაში მოიგო — 4:6, 7:6, 6:3, 6:1.

## ახალი წიგნები

# ფიზიკური აღზრდის ქართული წესები

**გამომცემლობა** „მეცნიერებამ“ 1600 ეგზემპლარად გამოსცა პროფესორ ვასილ ელაშვილის წიგნი „ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიკა“.

ნაშრომში, ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზების საფუძველზე, ნაჩვენებია ხალხური პედაგოგიკის არსი, მისი ძირითადი მხარეები, საშუალებანი და მეთოდები; უფროსი თაობის როლი ახალგაზრდობის აღზრდაში. წიგნში მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხური საშუალებების ორგანულ შერწყმას, რაც ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმის ერთ-ერთ გზადაა მიჩნეული.

წიგნში ვკითხულობთ: „საკმაო რაოდენობითაა იმის მაგალითები, რომ ლოკალურად გავრცელებული სპორტის ხალხური სახეობა თანდათანობით აღიარებას პოულობს და ფართოდ ვრცელდება. სწორედ ასეთი ბედი ეწია ძიუდოს“.

დავძენთ, რომ დღეს მოწმენი ვხდებით ჩვენი ეროვნული საუნჯის — ქართული ჭიდაობის — საერთაშორისო აღიარებისაც.

ავტორი განაგრძობს: „აუცილებელია გაბედულად გამოვიტანოთ საერთაშორისო სარბიელზე სპორტის ხალხური სახეობები, რომლებმაც თავიანთი პედაგოგიური ფასეულობით დაიმსახურეს საყოველთაო პოპულარობა“.

წიგნიდან ვგებულობთ, რომ სვანური ჭიდაობა („ლიბურგიელ“) თავისებური წესებით ქართული ჭიდაობის გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენს. სვანეთში არის ჭიდაობის სხვა ნაირსახეობაც „ლიბუნძგვალ“, რაც მასობრივ, გუნდურ პაექრობას ნიშნავს.

განხილულია ხევსურული ჭიდაობაც, „მოშ და მოშ“ (მკლავ და მკლავ), რომელშიც ფეხი არ იხმარება. მოჭიდავეებს არც ქამარი სჭირდებათ ხელის ჩასავლებად. ჭიდაობის მეორე სახეობა, რომელიც აქ ტარდება, არის „მუქასრისა ხელის ჩავლებით“, აქ კი ფეხებითაც მოქმედებენ და მშვენივრად იყენებენ „ხრინკას“ ანუ სარმას.

ქართული ჭიდაობის საინტერესო ვარიანტია რაჭაშიც. მას „ლოჯურ ჭიდაობას“ უწოდებენ.

წიგნში ვკითხულობთ ბურთაობის შესახებაც: „ქართულ მოძრავ თამაშობათა შორის ბურთაობა ერთ-ერთი უძველესი სახეობის ზოგადი სახელწოდებაა. მოძრავ თამაშთა ამ სახეობაში გაერთიანებულია ლელო, ცხენბურთი, გაკვრაბურთი, ღორობია, გაქცევ-ბურთაობა, ხელბურთი, საყებურთი, შეხლაბურთი, ბინაბურთი, ბურთი კალათში, ბურთი შეჯიბრში, წრებურთი და ხაზბურთი“.

ავტორი თავის ნაშრომში სამართლიანად აყენებს წინადადებას, რომ საჭიროა შეიქმნას სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობათა ფედერაცია. ნაშრომი მთავრდება სულმნათი ილიას სიტყვებით: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა“.

ეს საინტერესო წიგნი ჩვენი ეროვნული სპორტის ტრადიციებით დაინტერესებული მრავალი მკითხველისთვის უთუოდ საყურადღებო ნაშრომია.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

# კრისტინ ოტოს პრობლემები

**ყველაზე** ტიტულოვანმა მოცურავე ქალმა მსოფლიოში, სეულის ოლიმპიადის ექვსგზის, მსოფლიოს შვიდგზისა და ევროპის რვაგზის ჩემპიონმა კრისტინ ოტომ (გდრ) გადაწყვიტა თავი დაანებოს სპორტს.

● **ნუთუ ავსტრალიის მსოფლიო ჩემპიონატი არ არის თქვენთვის მომხიბლავი პერსპექტივა, — ჰკითხეს ოტოს პრეს-კონფერენციაზე.**

— ბონში ევროპის ჩემპიონატზე ვიგრძენი რომ მივაღწიე ჩემს შესაძლებლობათა ზღვარს. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, სპორტსმენი ვალდებულია შეეჩვიოს უსიამოვნო აზრს.

● **როგორ ფიქრობთ, მიაღწიეთ თუ არა ყველაფერს სპორტში?**

— ერთი ოცნება განუხორციელებელი დამრჩა. 50 მეტრიან აუზში 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ერთ წუთზე უკეთესი შედეგი მინდოდა მეჩვენებინა. მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე ეს.

● **გეშინიათ თუ არა ქუჩაში გამოსვლა?**

— რატომ უნდა მეშინოდეს. ავტომანქანა „პეჟო“ პრემიების თანხით შევიძინე, სამოთახიანი ბინაც ამას წინათ სპორტული დამსახურებისთვის მივიღე. 1980 წლიდან მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეთა რიცხვში ვირიცხები. ჩემი რანგის სპორტსმენები არც საზღვარგარეთ ცხოვრობენ ურიგოდ.

● **როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?**

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მინდა პროფესიით ვიმუშავო.

# თითქმის დეტექტური ისტორია

**უცხოეთისა** და ჩვენი პრესა ახლა ბევრს წერს იმის თაობაზე, რომ გამოჩენილმა რუმინელმა ტანმოვარჯიშე ქალმა, მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ნადია კომენეჩიმ დატოვა თავისი სამშობლო და 6 კაცის თანხლებით არალეგალურად გადალახა მეზობელი ქვეყნის — უნგრეთის საზღვარი, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეს. შემდეგ ეს ჯგუფი გაემგზავრა შვეიცარიას, გადაინაცვლა ავსტრიაში და საბოლოოდ ნიუ-იორკში ჩავიდა.

ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში ნ. კომენეჩის უამრავი ჟურნალისტი დახვდა, მათთან საუბარში ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა განაცხადა, რომ კარგა ხანია ფიქრობდა რუმინეთიდან წასვლას. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ნ. კომენეჩის მიეკუთვნა ლტოლვილის სტატუსი და მას უახლოეს ხანებში მიეცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივი ცხოვრების უფლება. გაზეთები წერენ, რომ ნ. კომენეჩის სულ ახლახან შეუსრულდა 28 წელი. 14 წლისამ მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე 3 ოქროს მედალი მოიპოვა, დიდ სპორტში გამოსვლა 1981 წელს შეწყვიტა და მას მერე მწვრთნელად მუშაობდა. წერენ იმასაც, რომ ნ. კომენეჩი ბუქარესტში საკუთარ ვილაში ცხოვრობდა, დასავლური მარკის ავტომანქანას ფლობდა და არავითარ მატერიალურ სიძნელეებს არ განიცდიდა. მაგრამ რუმინეთის ხელისუფლებამ ნ. კომენეჩის ნება არ დართო საზღვარგარეთ რომელიმე ქვეყანაში ემუშავა მწვრთნელად და საერთოდ, აუკრძალა უცხოეთში მოგზაურობა.

ცნობილი გახდა, რომ ნადია კომენეჩის ძველი მწვრთნელი არის ბელა კაროი, ეროვნებით უნგრელი; ცხოვრობს და მუშაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მან არაერთხელ მიმართა ტანმოვარჯიშეს გადასახლებულიყო ამ ქვეყანაში, სადაც დახმარებას ჰპირდებოდა.

## „სპორტლოტო“

**3 დეკემბერს** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 49-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 29 (სასტენდო სროლა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 39 (ბადმინტონი), 45 (შში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 12 (ტანვარჯიში), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).

# „ეკიპი“ მსოფლიო ძიუდოს შესახებ

**ფრანგული** სპორტული გაზეთის „ეკიპის“ აზრით, ბელგრადში ახლახან ჩატარებულ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს, ბევრი საორგანიზაციო ნაკლი ჰქონდა. ამაში კორესპონდენტი მთლიანად ადანაშაულებს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას.

ფედერაციამ ბოლო დროს მართლაც შეირცხვინა სახელი. ეს, კომენტატორის აზრით, დაიწყო, ჯერ კიდევ ორი წლის წინ ესენის (გფრ) კონგრესზე, როცა ფედერაციაში საკვანძო თანამდებობებზე აირჩიეს ნაკლებად კომპეტენტური ხალხი „მცირე“ ქვეყნებიდან, რომელთა სპორტსმენებს არასდროს გამოუჩენიათ თავი საერთაშორისო სარბიელზე. სკანდალი დამთავრდა იმით, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა, არგენტინელმა კალოგლიანმა ხაზინიდან 300 ათასი დოლარი მიითვისა. ამ უპრეცედენტო საქციელისთვის პრეზიდენტი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან.

„ეკიპის“ აზრით, ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატი ფედერაციის დანაშაულებრივი საქმიანობის ლოგიკური შედეგი იყო. მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება იუგოსლავიამ, ორი წლის წინ მიიღო, მაშინდელი ხარჯთაღრიცხვა ქვეყანაში დამკვიდრებული ინფლაციის გამო ცხადია ერთი-ორად გაიზარდა. ამან გამოიწვია ბევრი ორგანიზაციული ხასიათის უხერხულობანი.

მიმომხილველის აზრით, მსოფლიო ძიუდოს სათავეში უნდა ჩაუდგეს საქმიანი, ენერგიული და პატიოსანი ხალხი. ფედერაციაში გადამწყვეტი ხმა უნდა ჰქონდეს ძიუდოს ახალგაზრდა იაპონელ სპეციალისტებს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს, სადაც ეს სპორტი განსაკუთრებით არის განვითარებული. 1991 წელს ბარსელონაში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მომავალ არჩევნებზე ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. მსოფლიო ძიუდოს ისტორიაში ეს სკანდალური პერიოდი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ, — ასკვნის „ეკიპის“ მიმომხილველი.



1990 წლის 1-დან 10 იანვრამდე სპორტის სასახლეში ტარდება ზეიმის დღეები საქალაქო საახალწლო ნაძვის ხესთან.

დასაწყისი 10, 13 და 16 საათზე.

მიიღება განაცხადები კოლექტიური დასწრებისათვის.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-93-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მარათე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგამომცემლო კორპუსზე: მარჯანიშვილის, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578